დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

ხელშეკრულება №76/19

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **10 მაისი 2019 წ.**

ერთის მხრივ **ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“** (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმომადგენელი მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი დოლიძის სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს“** (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50100000 – სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა;

1.2 მომსახურების და მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი და ფასები მოცემულია დანართი №1-ში; შესაბამისად ერთეულის ფასი, კონკრეტული ავტომობილის მარკა-მოდელის მიხედვით განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად;

1.3 შესყიდვა ხორციელდება ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე მიმაგრებული Suzuki Jimny 1.3 სახ.№GA 126 PA-ის საჭიროებისათვის.

1.4 შესყიდვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.6 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს არაუმეტეს **1000 (ერთი ათასი) ლარს**.

2.3 პრეისკურანტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 475.60 ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ადგილი და ვადა

3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ ავტოსატრანსპორტო საშუალების პროფილაქტიკური (ამ ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებული ნაწილებისა და მომსახურების) მომსახურება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სიტყვიერი ან/და წერილობითი მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში; მიმწოდებლის სერვისის გადატვირთვის და/ან შესასრულებელი სამუშაოს სირთულის ან სათადარიგო ნაწილის ადგილზე არქონის შემთხვევაში მხარეები დამატებით (სიტყვიერედ ან წერილობით) თანხმდებიან მიწოდების ვადებზე.

3.2. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ მომსახურებას გაუწევს მის კუთვნილ ან მისი სუბკონტრაქტორების კუთვნილ სერვის ცენტრებში.

3.3. მომსახურება განხორციელდება ავტომანქანებზე შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე და ასევე საგარანტიო პირობების შესაბამისად.

3.4 შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ ავტომანქანის სერვის ცენტრში (მათ შორის სუბკონტრაქტორის სერვისცენტრში) შეყვანისას მიმწოდებელი ვადებულია შეადგინოს დეფექტური აქტი, რომლის ელექტრონული ვერსია უნდა გაუგზავნოს შემსყიდველის მიერ გამოყოფილ ეკონომიკური სამსახურის თანამშრომელს შემდეგი ელექტონული ფოსტის მისამართზე (ramaz_metreveli@yahoo.com) შემდგომი შეთანხმებისათვის, მხოლოდ შემსყიდველის სიტყვიერი ან ელექტრონული ფოსტით თანხმობის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს მომსახურების გაწევა.

3.5 დეფექტურ აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს” ის თანამშრომელი (პიროვნება რომელზედაც განპირობებულია ავტომანქანა) რომელიც უშუალოდ მიიყვანს ავტომანქანას სერვისცენტრში, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. გაწეულ მომსახურებაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ ავტოტექმომსახურების შესრულების აქტს რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დეტალური აღწერა, ავტოტექმომსახურების შესრულების აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს” ის თანამშრომელი (პიროვნება რომელზედაც განპირობებულია ავტომანქანა) რომელიც უშუალოდ ესწრებოდა ავტოტექმომსახურების გაწევის პროცესს და შესაბამისი ტერიტორიული ადმინისტრაციის დირექტორი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

4.2. მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად ავტოტექმომსახურების შესრულების აქტების და ინსპექტირების აქტების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3. მიღება-ჩაბარების აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერენ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს” ეკონომიკური სამსახურის უფროსი და შემსყიდველის მიერ გამოყოფილი ეკონომიკური სამსახურის თანამშრომელი (ავტოპარკზე პასუხისმგებელი პირი), ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს, დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს დეფექტი;

5.2. „მიმწოდებლის“ გარანტია გამოცვლილ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში; იმ პირობით, რომ მიწოდებულ ნაწილებსა და მომსახურებაზე ყველა სახის დამატებითი მომსახურება (საჭიროებისას) ან სათადარიგო დეტალის შეძენა საგარანტიო ვადის განმავლობაში მოხდება მხოლოდ მიმწოდებლისაგან; ამასთან: შემსყიდველის მიერ დაცული იქნება სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურებით გათვალისწინებული მომსახურების წესები, პერიოდულობის

ვადები და ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ნაადრევად მოხსნას ავტომობილი გარანტიიდან.

5.3. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანის გამოყენებას დანიშნულებისამებრ, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველისგან" შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი;

5.4. გარანტია არ ვრცელდება „შემსყიდველის" მიერ ავტომანქანის ექსპლუატაციის წესების დარღვევის და გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე. ასევე სწრაფცვეთად ნაწილებზე.

5.5. გაწეული მომსახურების (მიწოდებული სათადარიგო ნაწილის), ხარისხის და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ევალება სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს" იმ თანამშრომელს (პიროვნება რომელზედაც განპირობებულია ავტომანქანა) რომელიც უშუალოდ ესწრებოდა ავტოტექმომსახურების გაწევის პროცესს და შესაბამის ტერიტორიული ადმინისტრაციის დირექტორს

5.6. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ევალება შემსყიდველის მიერ გამოყოფილ ეკონომიკური სამსახურის თანამშრომელს (ავტოპარკზე პასუხისმგებელი პირი).

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხორციელდება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპოვრივად ორივე მხრიდან ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველის" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიულ ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში; მათ შორის:
10.3. საქართველოს სამოქალარო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით

მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებლის" მხრიდან მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.3. „შემსყიდველის" მხრიდან 6.2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველს" „მიმწოდებლის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. მიმწოდებლის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში

აღნიშნულ მიმწოდებელთან.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”	**შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს”**
ქ. თბილისი, გულუას ქ. №6	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №155
ტელ: 2752352	ს/კ 206276340
ს/კ: 204911337	ს.ს „საქართველოს ბანკი“
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: BAGAGE22
სახაზინო კოდი: 220101222	ა/ა GE89BG0000000247624300
ა/ა № GE24NB0330100200165022	
_____	_____
გიორგი დოლიძე თავმჯდომარის მოადგილე	თემურ უსტიაშვილი დირექტორი
LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS Digitally signed by LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS Date: 2019.05.10 12:02:59 +04'00'	JI-TI MOTORS LLC Подписано цифровой подписью: JI-TI MOTORS LLC Дата: 2019.05.10 13:26:24 +04'00'

№76/19 ხელშეკრულების დანართი №1

Suzuki Jimny 1.3 ტექნიკური მომსახურების და მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი (პრეისკურანტი)			
1	მორგვის საკისარის შეცვლა	ცალი	48
2	წინა და უკანა ხიდის ზეთის შეცვლა	ცალი	30
3	სტაბილიზატორის რეზინების შეცვლა	ცალი	24
4	საბურავის დაშლა/აწყობა, ბალანსირება	ცალი	12
5	სტაბილიზატორის რეზინი	ცალი	23,60
6	ხიდის ზეთი EXP80W90	ცალი	18
7	მორგვის საკისარი	ცალი	320

„შემსყიდველი“

ს.ს.ი.პ. „დაცული ტერიტორიების სააგენტო”

_____

გიორგი დოლიძე
თავმჯდომარის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ჯი-თი მოტორს”

_____

თემურ უსტიაშვილი
დირექტორი